ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №120

2021 წ. 7 სექტემბერი ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

(იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან გაერთიანებული)

მოწვეული სტუმრები:

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური- გიგა გიგაშვილი
სსიპ ქონების მართვის სააგენტო- მარიამ კვერნაძე
საფინანსო საქალაქო სამსახური-ლევან მიქავა
შპს „თბილსერვის ჯგუფი" - რომეო მიქაუტაძე
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - **დავით უთმელიძე.**

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი,ვახტანგ შაქარიშვილი, ბორია ფირცხელიანი.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარემ კომიიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (#11-01212493546 საკრ#15-032124968-03)

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება"-ის და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის თაობაზე. (12-03212462-03)
3. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103 443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი -15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის" (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ"(12-03212452-03)
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქი თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. 005/117) მდებარე 636 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.313) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-032124248-03)
5. ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მიკრორაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.005.199) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-032124639-03)
6. ქ. თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1043 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.095) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

(12-032124639-03)

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე". (12-032124639-03)

8. *ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.031.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "* (12-032124612-03)

9. *ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ტაბიძის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: N81.01.05.884.01.502; N81.01.05.884.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "*(12-032124612-03)

10. ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N13ვ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.055.01.131) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-03212233-03)

11. ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.327) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-032123641-03)

12. ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.057.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-032123641-03)

13. ქალაქ თბილისში, ბეღლეთის ქუჩა N9-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.046.315) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-032124245-03)

14. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა N13-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.083.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(12-032124249-03)

15. ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N15-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.008.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-03212445-03;12-03212446-03)

16. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-032123641-03)

17. ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9 (ნაკვეთი 01/063)-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.063) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-032124250-03)

18. ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.010.011) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელ მატადორისთვის" (ს/ნ: 412757315) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(12-032123138-03)

19. ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N56-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.16.01.013.038) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ოპერატორისთვის" (ს/კ: 405252792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-03212444-03)

20. ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.05.009.032) ტერიტორიიდან 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „შატრესთვის" (ს/კ: 402045354) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(12-032124613-03)

21. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქუვეითისთვის" (ს/კ: 400311275) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" (12-032124614-03)

დღის წერიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ

მომხსენებელი-ლევან მიქავა.

ლევან მიქავას მოხსენებთ,ინფტრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით „გზების მოვლა შეკეთების" პროგრამის „საქონებლი და მომსახურების" მუხლის მესამე კვარტლის გეგმას ემატება 350 000 ლარი. აღნიშნული გამოწვეულია ქალაქის მასშტაბით ორმოული და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ასანაზღაურებლად.

მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის გამზირზე, მაგისტრალური კვანძის მოწყობის სამუშაოების ასანაზღაურებლად, პროგრმის „ საინჟნრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია" , მესამე კვარტლის გეგმას ემატება 500 000 ლარი, ხოლო ქალაქის მასტაბით ავარიული შენობების გამაგრებისათვის, პროგრამის „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება" მესამე კვარტლის გეგმას ემატება 300 000 ლარი.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნის საფძველზე „დასუფთავების ღონისძიებების" პროგრამის მესამე კვარტლის გეგმას ემატება 2 000 000 ლარი, მეოთხე კვარტლის გეგმის შესაბასმისად შემცირებით.

წარმოდგენილია ასევე საბურთალოს, ჩუღურეთისა და ვაკის რაიონის გამგეობის მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები.

ლევან მიქავამ დაწვრილებით განმარტა აღნიშნულ ცვლიბებებზე.

მომხრე-9

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფტრასტრუქტურის განვითარების და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურები, საბურთალოს, ვაკის, მთაწინიდის და ჩუღურეთის რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება"-ის და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი- რომეო მიქაუტაძე, გიგა გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება“-ის და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის თაობაზე, ისაუბრა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ ქვესასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს 9 600 000 ევროს სესხის აღებას.

მოხსენებელმა განმარტა რომ ხელშეკრულება არის 10 წლიანი და მოიცავს არა მხოლოდ ქუჩების დასუფთავებას და სადრენაჟე სისტემის გაუმჯობესებას,არამედ სხვადასხვა მიმართულებით სპეცტექიკის შეძენას. სესხის ფარგლებში მოხდება „თბილსერვის ჯგუფის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ნაგავმზიდი სპეცტექნიკის ახლით ჩანაცვლება.

კომისიის სხდომაზე დაისვა შეკითხვა, რომ „იგეგმება თუ არა თოვლსაწმენდი და მარილმომყრელი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა მიმდინარე პერიოდში და აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, ტენდერის ჩატარების შემთხვევაში,რა ვადები იქნება გათვალისწინებული მითითებული ტექნიკური საშუალებების მოწოდებისათვის.

შეკითხვაზე რომეო მიქაუტაძემ განმარტა, რომ მიმდინარე პერიოდში იგეგმება თოვლსაწმენდი და მარილმომყრელი სატრანსპორტო საშუალებების სამი ერთეულის შეძენასთან დაკავშირებით ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები,რაც მოიცავს 6 -9 თვის დროის მონაკვეთს(მ.შ. გრანტის ფარგლებში ტექნიკური მრჩევლის-კონსუტანტის შერჩევაც).

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103 443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი -15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“.

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე. წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის N21.699.818 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის

საშუალებით 2021 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 1 ივლისის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში / ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.06.003.058 (ფართობი - 600 კვ.მ); N01.14.06.003.003 (ფართობი - 4 914 კვ.მ); N01.14.06.003.004 (ფართობი - 5 086 კვ.მ); N01.14.06.003.060 (ფართობი - 16 140 კვ.მ); N01.14.06.006.127 (ფართობი - 76 703 კვ.მ) და N01.14.06.006.131 (ფართობი -15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ჯამურად 119 163 კვ.მ. ფართობის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების პარკის/სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა (მოთხოვნილი განაშენიანების მინიმალური ფართობი კ2=არაუმეტეს 0.8-ის გათვალისწინებით - 82 754.4 კვ.მ) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ინტერესთა გამოხატვაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი დაინტერესებული პირის - სს „გრინ ქეფითალის" (ს/ნ: 405447903) განაცხადი, რომელსაც შემოთავაზებული ჰქონდა კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) 7 550 კვ.მ-ის ოდენობით, ამასთან, კომპანიის მიერ, 2021 წლის 1 ივლისის N19/01211822499-61 განაცხადზე დალუქული კონვერტით სრულად იქნა წარმოდგენილი ხსენებული ინტერესთა გამოხატვის 3.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით. შესაბამისად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა სს „გრინ ქეფითალი" (ს/ნ: 405447903).

აღსანიშნავია, რომ N01.14.06.003.058 (ფართობი - 600 კვ.მ); N01.14.06.003.003 (ფართობი - 4 914 კვ.მ); N01.14.06.003.004 (ფართობი - 5 086 კვ.მ); N01.14.06.003.060 (ფართობი - 16 140 კვ.მ); N01.14.06.006.127 (ფართობი - 76 703 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გაერთიანდა და გაერთიანების შემდეგ მიენიჭა საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.002 (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: N882021583735; 17.07.2021).

ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად, განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ N01.14.06.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 103 443 კვ.მ. მიწის ნაკვეთი თანასაკუთრებაში გადაეცემათ კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას, თუმცა, ამავე ხელშეკრულებით კოოპერატივის წევრები განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ შესაბამისი მიწის ნაკვეთიდან შესაბამის წილებს საკუთრებაში გადასცემენ კომპანიას, შესაბამისად, საბოლოოდ მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდება კომპანიის საკუთრების უფლება. რაც შეეხება N01.14.06.006.131 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 15 720 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, იგი პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ კომპანიას.

კომპანიის ვალდებულებები ხელშეკრულებით დეტალურადაა განსაზღვრული, თუმცა უნდა აღინიშნოს მის მიერ შესასრულებელი ძირითადი ვალდებულება: სს „გრინ ქეფითალ" (ს/ნ: 405447903) ვალდებულია: N01.14.06.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 103 443 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განახორციელოს საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობ(ებ)ის, ხოლო N01.14.06.006.131 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 15 720 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - პარკისა და შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულების შემდეგ კი, როგორც აღინიშნა, იგი ვალდებულია განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადასცეს შესაბამის კოოპერატივის წევრებს.

კომპანია, ასევე, ვალდებულია და საპრივატიზებო პირობად განესაზღვრება, რომ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებულ სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება უზრუნველყოს, ქონების მიმღები პირებისათვის გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის და პარკის მშენებლობის ნებართვები მოიპოვოს,

შესაბამის საცხოვრებელ ფართებზე ინდივიდუალურად ქონების მიმღები პირების საკუთრების უფლების რეგისტრაცია (ე.წ. „განშლა“) განახორციელოს, ქონების მიმღები პირებისათვის გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის/პარკის მშენებლობა დაასრულოს და მათი ექსპლუატაციაში მიღება უზრუნველყოს, ასევე, შესაბამისი საცხოვრებელი ფართები აღნიშნულ პირებს ფაქტობრივად გადასცეს, ამ განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

აღსანიშნავია, რომ განკარგულების დანართ N1-ში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა როგორც ტერიტორიულობის პრინციპის, ასევე სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია იმ კოოპერატივის წევრთა მონაცემები, რომელთაც კოოპერატივის წევრობიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სახლი უნდა აშენებოდათ საბურთალოს რაიონში, ამასთან, აღნიშნულ რაიონში გათვალისწინებულ კოოპერატივის წევრთა შორის რიგითობა განისაზღვრა დაბალი სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით. ჯამურად, **წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია 72 დაზარალებული პირის დაკმაყოფილება,** რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს და რომელთაც, განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული სიის ფორმირების ეტაპისათვის, სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია, ამასთანავე, სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოხსენებელმა აღნიშნა, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. კერძოდ, სიის ფორმირების პროცესში გამოვლინდა, რომ ზოგიერთმა პირმა, რომელიც აკმაყოფილებდა როგორც ტერიტორიულობის, ისე სარეიტინგო ქულების პრინციპს, სააგენტოს წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში, უარი განცხადეს წარმოდგენილ პროექტში დაკმაყოფილებაზე, ასევე, გამოვლინდა პირი, რომელიც სიის ფორმირების ეტაპზე გარდაცვლილია, ხოლო მისი სამკვიდრო გახსნილი არ არის. ერთი პირი დაავადებული აღმოჩნდა ახალი კორონავირუსით (covid 19), რის გამოც, იგი ვერ შეძლებდა ხელშეკრულებაზე ხელმოწერას. წარმოდგენილ პროექტში, ასევე, არ იქნენ გათვალისწინებული იმ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები, რომლებიც, არსებული მონაცემებით, შესაძლოა დაკმაყოფილებულად იქნენ მიჩნეულნი და მოცემულ ეტაპზე, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით, სააგენტოში მიმდინარეობს მათთან დაკავშირებული საკითხის შესწავლა.

მომხრე-8 წინააღმდეგი-ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქი თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. 005/117) მდებარე 636 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.313) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

თანხმობისათვის წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 26 აგვისტოს N21.1154.1294 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქი თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. 005/117) არსებული 636 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.313) გაცვლის ფორმით პრივატიზება, , შპს „მოტიფ“ის (ს/ნ: 4051622) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისში, იონა ვაკელის ქუჩა, N2-ში არსებული 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.001.007) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებებეით, კომპანიას უარი ეთქვა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პარამეტრების დადგენაზე, კერძოდ სავაჭრო პავილიონის განთავსებაზე, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ჩამოყალიბებულ

სკვერს, სატრანსპორტო კვანძის ნაწილს, რაც ზღუდავს ხედვის კუთხეს და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება დაუშვებელია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად კომპანიის საკუთრებაში არსებული №01.10.14.001.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირერბული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 455 600 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრბაშიარსებული №01.14.14.005.313 საკადასტრო კოდით რეგისტრირერბული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 1 086 288 ლარის ოდენობით.

კომპანია მზადაა გადაიხადოს ფასთა შორის სხვაობა. საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრულია 631 000 ლარი.

მომხრე-8 წინააღმდეგი-ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მიკრორაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.005.199) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, მოქალაქე გოგიტა ჩიტაძემ (პ/ნ01027078597) განცხადებით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მიკრორაიონი №319 ზ-ში, მის საკუთრებაში არსებული 50 კვმ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნეგებობა №1-ის, ფართით 42,30 კვმ (საკ/კოდი:№01.19.39.015.012) გაცვლის ფორმით პრივატიზება. მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს სკვერის ტერიტორიის მიმდებარედ, რომელზეც სამგორის რაიონის გამგეობის მიერ მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული დასტურდება გამგეობის წერილით.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ, მოქალაქისათვის შეთავაზებული იქნა ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მიკრორაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.19.39.005.199)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად გოგიტა ჩიტაძის საკუთრებაში არსებული №01.19.39.015.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 63450 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრბაში არსებული №01.19.39.005.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირერბული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 93600 ლარის ოდენობით.

გოგიტა ჩიტაძე მზადაა გადაიხადოს ფასთა შორის სხვაობა. საპრივატიზებო საფასურად განსსაზღვრა 30150 ლარი.

მომხრე-8 წინააღმდეგი-ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქ. თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1043 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.095) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე

მომხსენელის განმარტებით, 2021 წლის 19 მარტს სულხან მაკარიძემ(პ/ნ 21001038040) განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის გამზირი, II მ/რ-ში არსებული 135 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების N1 და N2-ის ფართით 103.12 კვ.მ.-ის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.017.004) გაცვლის ფორმით პრივატიზება. მოქალაქის განცხადებით მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს არეალში, სადაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ მიმდინარეობს სკვერის და სპორტული სივრცის მოწყობის სამუშაოები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 01 სექტემბრის N21.1186.1339 განკარგულებით წარმოდგენილია საკითხი: „ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის გამზირი, II მ/რ-ში არსებული 135 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების N1 და N2-ის ფართით 103.12 კვ.მ.-ის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.017.004) გაცვლა ქ. თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 1043 კვ.მ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.095). საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 100871 ლარის ოდენობით.

მომხრე-8 წინააღმდეგი-ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

თანხმობისათვის წარმოდგენილია, “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე”, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 სექტემბრის N21.1185.1344 და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის

2021 წლის 1 სექტემბრის N21.1185.1344 განკარგულებაში ცვლილების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 სექტემბრის N21.1209.1361 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურით 263 000 (ორას სამოცდასამი ათასი) ლარის ოდენობით, შპს „ალმას" (ს/ნ 204873388) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში არსებული 8440 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების N1-N2-4 საერთო ფართობით 2966.22 კვ.მ.; N3 – 30.25კვ.მ. და N5 - 6.72კვ.მ-ის (საკადასტრო კოდი: N01.13.03.041.010) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 სექტემბრის N21.1209.1361 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საპრივატიზებო პირობად განსაზღვრულია: ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, ფუნქციურ ზონა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე განკარგულება ძალაში შედის იმ პირობით, რომ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 სექტემბრის N21.1209.1361 განკარგულებით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, შპს „ალმა" (ს/ნ 204873388) უზრუნველყოფს N01.13.03.041.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გათავისუფლებას მასზე რეგისტრირებული ყველა შეზღუდვა/ვალდებულების უფლებისგან და აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მოიყვანს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში. ამასთან, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, რეგისტრირებული სარგებლობის (იჯარის) უფლებები: 1. N882020974783 განცხადების საფუძველზე რეგისტრირებული სარგებლობის (იჯარის) უფლება (საგანი - შენობა N4 და შენობა N1-დან სახურავის ნაწილი ფართობით: 35კვ.მ. მოიჯარე: სააქციო საზოგადოება „სილქნეტი" ს/ნ 204566978) და 2. N892018417292 განცხადების საფუძველზე რეგისტრირებული სარგებლობის (იჯარის) უფლება (ა, (საგანი - მიწის ნაკვეთი - 12 კვ.მ. და ადმინისტრაციული შენობის სახურავის ნაწილი 35 კვ.მ. მოიჯარე: შპს „ვიონი საქართველო" ს/ნ 204450584)) ამ განკარგულების მიზნებისთვის, არ მიიჩნევა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.

მომხრე-8 წინააღმდეგი-ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.031.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N6-ში, პირველ სართულზე მდებარე 157.04 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.10.06.006.031.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ვასილი კაპანაძისთვის (პ/ნ 41001008241) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობით დგინდება, რომ ვასილი კაპანაძე 2005 წლიდან ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების ჩვენებით კი 1998 წლიდან;

უნდა აღინიშნოს რომ ვასილი კაპანაძეს საკუთრებაში ერიცხებოდა ქალაქ რუსთავში, მე-4 მიკრო/რაიონის, N46-ში მდებარე ბინა N45 ფართით 70.08 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 02.03.02.103.01.045), რომელიც გაასხვისა 2015 წელს.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ტაბიძის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: N81.01.05.884.01.502; N81.01.05.884.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, ტაბიძის ქუჩაზე, პირველ სართულზე მდებარე 35.43 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N81.01.05.884.01.502; N81.01.05.884.01.503), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ბექა დანელიას (პ/ნ 01017050533) , რომელიც მსს -სა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით 2007-2008 წლებიდან ცხოვრობს არნიშნულ მისამართზე.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N13ვ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.055.01.131) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N13ვ-ში პირველ სართულზე მდებარე 24.00 კვ.მ ბინა N131-ი (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.055.01.131) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე იაკობ მატუას (პ/ნ 01005044972) , რომელიც მსს ცნობითა და მოწმეების ჩვენებით ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.327) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.327) მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 11 ოჯახს (ჯამში 486,03კვმ), რომლებიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ ამ ფართებს.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.057.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N14-ში, პირველ სართულზე მდებარე 31.11 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.057.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე ინგა კოღუაშვილს(პ/ნ 60002005596) . მსს-ს

ცნობით, გამგეობის წერილით და მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ინგა კოღუაშვილი 2009 წლიდან ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბეღლეთის ქუჩა N9-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.046.315) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, ბეღლეთის ქუჩა, N9-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.046.315) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, დანართი N1-ში მითითებულ პირთათვის(3 ოჯახი) საკუთრებაში გადაცემის საკითხზე. განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. მითითებულ მოქალაქეებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 213.55 კვ.მ. შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ ბადრი მაჭავარიანი, ლია გიორგაძე და შოთა შამათავა, ოჯახებთან ერთად, 20 წელზე მეტია, რაც ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე; ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ ბადრი მაჭავარიანი, ლია გიორგაძე და შოთა შამათავა, ოჯახებთან ერთად, 1996 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა N13-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.083.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა, N13-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.17.01.083.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა დანართი N1-ში მითითებულ პირებს(ჯამში 22 ოჯახი), რომლებიც შსს ცნობებითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურედება რომ 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 608.4 კვ.მ

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N15-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.008.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N15-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.008.064) მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 8 ოჯახს (ჯამში 322,13 კვმ საცხოვრებელი ფართი). მოქალაქეები შსს -სცნობებით ნოტარიულად დამოწმებული ოწმეებისჩვენებით და გამგეობის წერილით დასტურდება რომ მოქალაქეები 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ ფართებში.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში, პირველ სართულზე მდებარე 40.45 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.144.01.518) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მზია მერკვილაძეს (პ/ნ 18001056314), რომელიც შსს ცნობითა და მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მოქალაქე ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 2004 წლიდან.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9 (ნაკვეთი 01/063)-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.063) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9 (ნაკვ. 01/03)-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.063) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 9 პირს(ოჯახს) . შსს-ს ცნობებით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქეები 2011-2012 წლებიდან ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 224.35 კვ.მ.

მომხსენებელმა აღინიშნა, რომ დავით ჯიბაშვილის საკუთრების უფლება 2011 წლის 15 თებერვალს მომზადებული სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში, გუთნის ქუჩა N6-ში მდებარე 27.95 კვ.მ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.01.140.007.01.501), რომელიც 2011 წელს გაასხვისა. ამჟამად მას გადაეცემა 28,81კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.010.011) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელ მატადორისთვის" (ს/ნ: 412757315) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

შპს „ელ მატადორს" (ს/ნ: 412757315) ქ.თბილისში, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა ,ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.010.011) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N10-ში მდებარე უძრავი ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.14.11.010.002.01.553) 2024 წლის 26 თებერვლამდე ვადით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება, ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.010.011) 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ელ მატადორისთვის" (ს/ნ: 412757315) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 2024 წლის 26 თებერვლამდე ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 3 240 ლარი.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N56-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.16.01.013.038) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ოპერატორისთვის" (ს/კ: 405252792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

შპს „ოპერატორს" (ს/ნ: 405252792) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა ,ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N56-ში მდებარე, კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: 01.16.01.013.021.04.503) მიმდებარედ 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.16.01.013.038) ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 480 ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.05.009.032) ტერიტორიიდან 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „შატრესთვის" (ს/კ: 402045354) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

შპს „შატრეს" (ს/ნ: 402045354) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.05.009.032) ტერიტორიიდან 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად, 6 წლის ვადით. აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N40-ში მდებარე ფართს (ს/კ: 01.15.05.009.006.01.545), 2026 წლის 1 მაისამდე ვადით. წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 10080 ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქუვეითისთვის" (ს/კ: 400311275) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"

მომხსენებელი- მარიამ კვერნაძე

შპს „ქუვეითს" (ს/კ: 400311275), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 31 კვ.მ მიწის ნაკვეთის ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N29/ვარციხის ქუჩა N5-ში მდებარე N01.16.05.027.017.01.522 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 37.48 კვ.მ ფართს, 2026 წლის 1 ივლისამდე ვადით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 2026 წლის 1 ივლისამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 5580 ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დავით უთმელიძე